ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5598408

ნომერი: AR1837522

თარიღი : 13.07.2021

გაცემის თარიღი : 15.09.2021

გაცნობის თარიღი : 15.09.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 40-42;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი ხუნდაძე პ/ნ 01022000933
- თბილისი მუხრანის ქ. კორ. 5 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 13 ივლისს №AR1837522 განცხადებით მომართა თამაზი ხუნდაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის

№5262077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებით შეთანხმდა საირმეს ქუჩა №40-42-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.028.082) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 25 იანვრიდან 2022 წლის 26 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 18 მაისის №5407730 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა: 2767.94 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად: 1505.66 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 324.06 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად: 146.6 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებით შეთანხმებული +9.90, +13.20, +19.80, +23.10 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2021 წლის 22 მარტის №AR1811949 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საცხოვრებელი ფართობად 1505.66 კვ.მ-ის ნაცვლად 1513.7 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 139.1 კვ.მ-ის ნაცვლად 138.33 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 324.06 კვ.მ-ის ნაცვლად 336.05 კვ.მ., მანსარდის ფართობი 189.41 კვ.მ-ის ნაცვლად 189.45 კვ.მ. დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლების ჯამი, საერთო ფართობი შეადგენს 2787.24 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1513.7 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 138.33 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 336.05 კვ.მ., მანსარდის ფართობად - 189.45 კვ.მ., საერთო ფართობად - 2787.24 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20, +16.50, +19.80, +23.10 და +26.40 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5262077 და 2021 წლის 18 მაისის №5407730 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge